ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7488463

ნომერი: AR11085395

თარიღი : 03.04.2025

გაცემის თარიღი : 22.05.2025

გაცნობის თარიღი : 22.05.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, N 71გ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ილია ხავთასი პ/ნ 01020010688
- თბილისი მ.მესხის ქ. N 26ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 03 აპრილის №AR11085395 განცხადებით მომართა ილია ხავთასმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 11 მარტის №7407941 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 11 მარტის №7407941 ბრძანებით N01.17.12.005.064 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 11 მარტიდან 2026 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 11 მარტის №7407941 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად ღია ავტოსადგომების (39 ღია ავტოსადგომი) ფართობის (509.2 კვ.მ.) დაფიქსირებას.
სამსახურმა, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილ გენ-გეგმაზე დატანილი N32 და N33 (წითლად შემოხაზული) ღია ავტოსადგომები, შეთანხმებულ გენ-გეგმაზე დატანილი არ არის (პროექტით აღნიშნული ავტოსადგომები შეთანხმებული არ არის). შესაბამისად, ზემოაღნიშნული მოთხოვნა არ წარმოადგენს „ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში“-ს ნომენკლატურით ხარვეზის გასწორების საფუძველს. აღნიშნულისთვის საჭიროა შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში ცვლილების შეტანა (კორექტირება).
გაცნობებთ, რომ ამავე განცხადების საფუძველზე მოგეცემათ ნომენკლატურის შეცვლის შესაძლებლობა, რის შემდეგაც განცხადება შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ სამსახურის ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.tas.ge), შემდეგი ნომენკლატურით: ელექტრონული განაცხადები - მშენებლობის ნებართვა - საცხოვრებელი ობიექტები - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი - შეთანხმებული პროექტის ცვლილება. განცხადების დარეგისტრირებისას პროგრამა pdf ფაილის სახით ავტომატურად განგისაზღვრავთ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური იმსჯელებს აღნიშნულ საკითხზე და პასუხი გეცნობებათ კანონით დადგენილ ვადაში.
ნომენკლატურის შესაცვლელად და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოსადგენად გეძლევათ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2025 წლის 03 აპრილის №AR11085395 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.